

ამალია შაყულაშვილი -ასოცირებული პროფესორი,
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
ელ-ფოსტა: amaliashayulashvili@sjuni.edu.ge

**არახელსაყრელ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი რეგიონებისა და
მეურნეობებისადმი მხარდაჭერის მექანიზმები**

შესავალი. სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებათა შორის განსაკუთრებულია მისი დიდი დამოკიდებულება ბუნებრივ პირობებზე. მასზე მძლავრ ზემოქმედებას ახდენს გეოგრაფიული პირობები, რომელიც შესაძლოა ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელი გახდეს.

მეურნეობებს შორის წარმოდგენილ მახასიათებლებში განსხვავებულობა მძლავრ ზემოქმედებას ახდენს აგრარული პროდუქციის წარმოების მოცულობაზე, აგრომეწარმეთა შემოსავალზე. აქედან გამომდინარე, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აპრობირებულია სპეციალიზირებული მიზნობრივი პროგრამის საშუალებით, როგორც ბუნებრივად, ისე ეკონომიკურად არახელსაყრელ პირობებში მყოფი მეურნეობების მხარდაჭერა.

ბუნებრივ-ეკონომიკური თვალსაზრისით არახელსაყრელს მიეკუთვნება სუსტად განვითარებული რეგიონები, რომლებშიც დაბალია ნიადაგის ნაყოფიერება, პირუტყვის სიმჭიდროვე, მაღალია წარმოების ხარჯები. აგრეთვე მთიან და მთაგორიან რეგიონებში განთავსებული მეურნეობები. ასევე ისეთ რეგიონებში განთავსებული მეურნეობები სადაც სხვა რეგიონებთან შედარებით დაბალია სოფლის მოსახლეობის შემოსავლების დონე, ხოლო ქვეყნის ინტარესებიდან გამომდინარე მიზანშეუწონელია ამ რეგიონებიდან მოსახლეობის მიგრაცია.

პრობლემატური და აგრარული წარმოებისათვის არახელსაყრელი რეგიონების რიცხვს მიეკუთვნება მაღალმთიანი და დაბალპროდუქტიული მიწოდების მქონე რეგიონები.

ძირითადი ტექსტი. ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენს სამცხე-ჯავახეთის რეგიონების (ახალციხე, ასპინძა, ადიგენი, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ბორჯომის) რაიონების ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებების შესწავლა და მათი ზეგავლენა რაიონის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

სამცხე-ჯავახეთის ბუნებრივი რესურსები და საწარმოო პოტენციალი.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შედის ექვსი ადმინისტრაციული რაიონი: ასპინძა, ადიგენი, ახალციხე, ახალქალაქი, ბორჯომის და ნინოწმინდის) დაბებით: ასპინძა, დაბა ასპინძა, ბორჯომში (ბაკურიანი, წაღვერი), ადიგენში (აბასთუმანი, ადიგენი) და რაიონში 258 სოფელია.

რეგიონის ტერიტორია მოიცავს: ბორჯომ-ბაკურიანის პლატოს რაიონებს, ახალციხის ქვაბულს, აჭარა-იმერეთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილის სამხრეთ ფერდობებს და თრიალეთის დასავლეთ განშტოებებს.

სამცხე-ჯავახეთის ტერიტორია - 6412,9 კვ.კმ-ს შეადგენს ანუ რესპუბლიკის ტერიტორიის 9,1 პროცენტს. ტერიტორია რთული და მრავალფეროვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებებით ხასიათდება. სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიის 52% მთებს უკავია, 36% მთის წინებს და 12% სწორი დაბლობი რელიეფის მქონე ფერდობებს.

ტყეებს სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიის 40% მდე და სასოფლო სამეურნეო სავარგულების 79% უჭირავს.

სამცხე-ჯავახეთის მთელი ამოქვაბული გარშემორტყმულია ქედებითა და მთაგრეხილებით, მთელი ადგილმდებარეობა ღრმად დასერილია ხეობებითა და მაღალი მთებით, რომელთა სამალღე შავი ზღვის დონიდან 850 მეტრიდან (ქ. ბორჯომი), 2850 მეტრამდე (ზეკარის უღელტეხილი) აღწევს. სამცხე-ჯავახეთის მთელ ტერიტორიაზე ყველა მიმართულებით გვხვდება ზოგან გამლილი და ზოგან მეტად შევიწროებული ხეობები.

სამცხე-ჯავახეთის დასავლეთი ნაწილია სამცხე და აღმოსავლეთი ნაწილი-ჯავახეთი.

სამცხის დიდი ნაწილი ზედა ეოცინურ დანალექ და ეროზიულ ქვაბულს უჭირავს, რომლის რელიეფი ტერასული ვაკეებია. იგი ზღვის დონიდან

სიმაღლით 950 მეტრიდან 1500 მ ფარგლებში მერყეობს. ქვაბულს ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით აკრავს შუა ეოცენური, მკვეთრად დანაოჭებული ვულკანოგენური ქანებიანი მესხეთის ქედი. სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთი ნაწილი კი ვულკანურ არსიანისა და ერუშეთის ქედებს უჭირავს.

ჯავახეთი ტიპური ახალგაზრდა ვულკანური ზეგანია, მისი დიდი ნაწილი ზედა პოლიეოცენური და მეოთხეული ასაკის დოლერიტებით, ბაზალტებითა და ანდეზიტებით აგებულ 1500-2000 მეტრი სიმაღლის ვაკე ზედაპირის მქონე, ახალქალაქის პლატოს უჭირავს. ტერიტორიის 97%-ი ზღვის დონიდან 1000 მ-ზე მაღლა მდებარეობს, ხოლო დიდი აბული 3305 მეტრამდე არწევს. ჯავახეთში გაბატონებულია ზომიერად მშრალი ჰავა, ცივი ზამთრით და ხანგრძლივიგრილი ზაფხულით.

ჯავახეთის ზეგანზე გავრცელებულია უმთავრესად მთის შავმიწა და მდელოს ნიადაგები. ჯავახეთი მდიდარია მიწებით, სუბალპური და ალპური სამოვრებითა და სათიბებით. ტყეში გვხვდება გარეული ღორი, ფოცხვერი, დათვი, შველი, ირემი, მგელი, კვერნა, მელა, კურდღელი, ფრინველებიდან - გნოლი, კაკაბი, გარეული იხვი და ბატი.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ბუნებრივი პირობები ხელსაყრელია მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის და საკურორტო-ტურისტული მეურნეობის ჩამოყალიბებისთვის. სანედლეულო ბაზა საფუძველს ქმნის მომპოვებელ-გადასამუშავებელი მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისა და სრულყოფისათვის.

რეგიონის სახალხო მეურნეობის დარგებს შორის წამყვანი ადგილი უკავია სოფლის მეურნეობას. რეგიონში უპირატესობა აქვს მარცვლეულის კულტურებს, მებოსტნეობას, მეკარტოფილეობას, მეხილეობას, მაგრამ სოფლის მეურნეობის მთავარ დარგად მაინც მეცხოველეობა ითვლება.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოფლის მეურნეობა იძლევა რესპუბლიკის ერთობლივი პროდუქციის 2,1%-ს და ეროვნული შემოსავლის 2,8%-ს მაშინ როცა სამცხე-ჯავახეთს უკავია საქართველოს მთელი ტერიტორიის 7,6 %, და

თავმოყრილია რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 4,2%, და არსებული შრომითი რესურსების 3,3%.

ბუნებრივი პირობები დიდ გავლენას ახდენს სახალხო მეურნეობის დარგების დარგობრივ სტრუქტურაზე, სპეციალიზაციაზე, სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერებაზე, მის შემოსავლიანობაზე და სხვა მაჩვენებლებზე, რაც დაკავშირებულია რეგიონალურ ბუნებრივ გეოგრაფიული პირობების თავისებურებასთან.

რეგიონების ტიპოლოგიის მიხედვით სამცხე-ჯავახეთი წარმოადგენს პრობლემურ ეკონომიკურ რეგიონს, რადგან იგი განლაგებულია არახელსაყრელ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში. ბუნებრივი კომპონენტებია - რელიეფი, კლიმატი, ნიადაგი და სხვა, რომლებიც მრავალნაირად მოქმედებენ სოფლის მეურნეობის ხასიათზე. რთული ბუნებრივი პირობები საბოლოო ჯამში იწვევს სამუშაოთა ტექნოლოგიის ხარისხის, პროდუქციის რაოდენობის ხარისხის, შრომის ნაყოფიერების მკვეთრ დაცემას, რაც იწვევს პროდუქციის თვითღირებულების ზრდას.

საწარმო-ბუნებრივი პირობების ფაქტორებიდან აღსანიშნავია: მინდვრების საქცევების სიგრძე, ქანობები, ტენიანობა, ქვიანობა, კონფიგურაცია, ნიადაგის მექანიკური შემადგენლობა, ხვედრითი წინააღმდეგობა და ზღვის დონიდან სიმაღლე (ციმინტია. 2005: 86).

თუ დაწვრილებით შევხებით ამ ფაქტორებს, მივიღებთ შემდეგ სურათს, რაც ნათლად წარმოგვიდგენს რეგიონის ბუნებრივ საწარმოო პირობებს და რომლიდანაც შეიძლება სათანადო მეცნიერულად სასარგებლო დასკვნების გამოტანა, შესასრულებელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ტექნოლოგიისა და ტექნიკის სწორად შერჩევისა და დაკომპლექტებისათვის.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სახნავ-სათესი მიწების 3%, 80 მეტრიანი ნაკვეთებია.

80 დან 100 მეტრიანი ნაკვეთებია_ 3,8%.

100 დან-120 მეტრიანი ნაკვეთებია _5,2%.

120 დან-150 მეტრიანი ნაკვეთებია_ 15%.

- 150 დან- 200 მეტრიანი ნაკვეთებია_ 13%
- 200 დან- 300 მეტრიანი ნაკვეთებია_ 23,9%
- 300დან- 400 მეტრიანი ნაკვეთებია_ 20,4%
- 500 დან- 600 მეტრიანი ნაკვეთებია_ 12%
- 600 დან- 1000 მეტრიანი ნაკვეთებია_5,1%

მინდვრის საქცევების საშუალო სიგრძეა 300-400 მეტრი ასეთ მოკლე ნაკვეთებში მომუშავე სასოფლო-სამეურნეო აგრეგატების მწარმოებლობა სახნავი სამუშაოების ჩატარების დროს ნორმალურ პირობებთან შედარებით მცირდება საშუალოდ 3%-ით, მინდვრის დახრილობის მიხედვით 1 გრადუსამდე დაქანებულია მთელი ფართობის 7,4%.

- 1-3 გრადუსამდე 13,6%.
- 3-5 გრადუსამდე 39%.
- 5-7 გრადუსამდე 23,8%.
- 7-9 გრადუსამდე დახრილია სახნავი მიწების 16,2%.

რეგიონში მინდვრების საშუალო დახრილობა შეადგენს 3-5 გრადუსს. ასეთი დახრილობის ნაკვეთებში მომუშავე აგრეგატების მწარმოებლობა ნორმალურთან შედარებით მცირდება 4%-ით, ხოლო საწვავის ხარჯვა იზრდება 3%-ით.

ქვიანობის მიხედვით:

- 1 კუბურ მეტრამდე ქვაა ფართობის 19,8%-ში.
- 1-10 კუბური მეტრამდე ქვაა ფართობის 43,4-ში
- 10-25 კუბურ მეტრამდე ქვაა 29,2%-ში
- 25-50 კუბურ მეტრამდე ქვაა ფართობის 5,6% -ში.

რეგიონის მინდვრაბში საშუალო ქვიანობა არის 1-10 კუბური მეტრი ჰექტარზე, რაც იწვევს აგრეგატის მწარმოებლობის საშუალოდ 5%-ით შემცირებას და ამდენადვე ზრდის საწვავის ხარჯს. *(ზემოთაღნიშნული მონაცემები წარმოდგენილია ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ახალციხის განყოფილების (2002) და ავტორის კვლევის საფუძველზე).*

ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით 500-1000 მეტრის სიმაღლეზე რეგიონის მინდვრების ფართობების 36,9%-ი. 1000 დან 1500 მეტრზეა 63,1%-ი. მაშასადამე ფართობის საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან არის 1000-1500 მეტრი. ასეთ სიმაღლეზე მომუშავე აგრეგატების მწარმოებლურობა ნორმალურ პირობებთან შედარებით მცირეა 10%-ით, ხოლო საწვავის ხარჯვა იზრდება 8% -ით (საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და ... 1992: 125).

სამცხე-ჯავახეთის რაიონების სახნავ-სათესი მინდვრების 3% მდე ფართობები უკავია სხვადასხვა დაბრკოლებებს (ბუჩქნარებს, მღიერებს, ელექტრობოძებს, არხებს, ჭაობებს, თხრილებს, გზებს და სხვა). ამასთანავე ეს ფართობები ხასიათდებიან ძლიერ რთული კონფიგურაციით. ამ მიზეზების გამო აგრეგატების მწარმოებლურობა მცირდება ნორმალურთან შედარებით 5%-ით და ამდენადვე იზრდება საწვავის ხარჯვა, დაბალია შესრულებული სამუშაოს ტექნოლოგიის ხარისხიც.

რეგიონის ნიადაგის საშუალო ხვედრითი წინააღმდეგობა არის 0,7კგ-სმ კვადრატში, რაც ნორმალურთან შედარებით მეტია (0,5 კგ/სმ კვადრატში). ამ მიზეზის გამო სოფლის მეურნეობაში მომუშავე ტექნიკის მწარმოებლურობა მცირდება 4%-ით და ამდენითვე იზრდება საწვავის ხარჯვა (საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და ... 1992: 319). ამრიგად სამცხე-ჯავახეთის რაიონების მინდვრებზე მომუშავე სასოფლო-სამეურნეო აგრეგატების მწარმოებლურობა ნორმალურ პირობებთან შედარებით მცირდება შემდეგი უარყოფით ფაქტორების ზემოქმედებით:

მოკლე საქცევების გამო 3%-ით

ქვიანობის გამო 4%-ით

ზღვის დონიდან სიმაღლის გამო 10%-ით

რთული კონფიგურაციის და სხვადასხვა დაბრკოლებების გამო 5%-ით.

ნიადაგის დიდი წინააღმდეგობის გამო 4%-ით

სულ 31% -ით.

ანალოგიური მსჯელობით სამცხე-ჯავახეთის რაიონების მინდვრებზე მომუშავე სასოფლო-სამეურნეო აგრეგატებზე მავნე ფაქტორების გავლენით საწვავის ხარჯი იზრდება:

მოკლე საქცევების გამო 3%-ით

საქცევების დახრილობის გამო 3%-ით

ქვიანობის გამო 5%-ით

ზღვის დინიდან სიმაღლის გამო 8%-ით

რთული კონფიგურაციის და სხვადასხვა დაბრკოლებების გამო 5%-ით.

ნიადაგის დიდი წინააღობის გამო 4%-ით

სულ 28% -ით.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამცხე-ჯავახეთში ნალექების საშუალო-წლიური რაოდენობა 600 მილიმეტრია, ნიადაგის ტენიანობა შეადგენს 28%-ს. რეგიონებში სავეგეტაციო პერიოდი მოკლეა, იცის ხანგრძლივი ზამთარი და ხანმოკლე ზაფხული. როცა რესპუბლიკის სხვა რეგიონებში (ქართლი, კახეთი, და სხვა) უკვე სოფლის მეურნეობის პროდუქცია სარეალიზაციოა ჩვენთან მაშინ იხვნება ფართობები.

აქვე უნდა ითქვას, რომ აუცილებელია საერთო ანალიზისათვის ტექნიკის ოპტიმალური რაოდენობის დადგენაც, რადგან ძირითადი საწარმოო საშუალებების მეტობა ან ნაკნებობა უარყოფითად მოქმედებს ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, როგორცაა მოგება, რენტაბელობა, ფონდუკუგება, ეფექტიანობა და სხვა.

ამიტომ საჭიროა ისეთი ტექნიკა რომელიც უკეთესად ეგუება უსწორმასწორო რელიეფს, დიდ ქანობებს, ცვალებად კლიმატურ პირობებს და სამუშაოს ახალ ტექნოლოგიას.

რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან სახნავ-სათესად და მრავალწლიანი ნარგავებისათვის გამოყენებულია 20-23% მიწის ფართობი, დანარჩენ ფართობებზე მექანიზაციის გამოყენების დონე ნულამდეა დაყვანილი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების

შესაძლებლობა შედარებით შეზღუდულია ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გამო.

ცნობილია, რომ სასოფლო-სამეურნეო აგრეგატების ეფექტურობა დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მაშტაბებზე და პირობებზე. კონკრეტულ პირობებში მექანიზაცია მაშინ გამოიყენება მაქსიმალურად, როდესაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა თავისი ტექნიკური მაჩვენებლებით პასუხობენ ექსპლუატაციის პირობებს.

რეგიონის მიწათმოქმედებაში მთლიანად მექანიზებულია მხოლოდ ნიადაგის მოხვნის, კულტივაციისა და დაფარცხვის, მარცვლეულის აღების სამუშაოები. დაბალია მექანიზაციის დონე კარტოფილის, ბოსტნეულის, მეხილეობასა და საკვებმოპოვებაში, რაც ხშირად რელიეფის გამო ვერ ხერხდება.

რეგიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობებისათვის შეუფერებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა თავისი ღირებულებით მძიმე ტვირთად აწვება რეგიონის ეკონომიკას, ხელოვნურად ამცირებს მოგებას, მოაქვს დიდი ზიანი.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია გულისხმობს არა მარტო მატერიალურ ტექნოლოგიური ბაზის ყველა ელემენტის რაოდენობრივ ზრდას, არამედ მათ თვისობრივ სრულყოფასაც, ეს ეხება უწინარეს ყოვლისა ტექნიკას.

თანამედროვე პირობებში სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების დონეზე დიდად არის დამოკიდებული არა მარტო სასოფლო სამეურნეო წარმოების განვითარება, არამედ ქვეყნის მთელი ეკონომიკის პროპორციული განვითარება და იმ დარგების განვითარება, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მეცხოველეობის დარგს ეკუთვნის. აგრეთვე განვითარებულია მარცვლეულის წარმოება, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარი ღერძია. აღნიშნული დარგი კარტოფილის, ხორბლის, ქერის და ნაწილობრივ სიმინდის კულტურებითაა წარმოდგენილი.

სოციალური პირობების რეგულირების მიზნით საჭიროა სახელმწიფომ გაატაროს ღონისძიებები, რომლებიც ეხება არხელსაყრელ ბუნებრივ-ეკონომიკურ

პირობებში დასაქმებულთა ცხოვრების დონის ამაღლებას. იგი მრავალფეროვან ფულად და ტექნიკურ დახმარებაში პოულობს ასახვას (ციმინტია, 2005: 87).

დასკვნა. სამცხე-ჯავახეთის არახელსაყრელ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი მეურნეობებისადმი მხარდაჭერის ეფექტიანი სისტემის ფორმირება აქტუალურია და იგი მთელი რიგი პრობლემებითაა განპირობებული.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი არის პრობლემატური, დეპრესიული რეგიონი, სადაც მოსავლიანობა, სასოფლო-სამეურნეო შემოსავლის დონე, ქვეყნის შესაბამისი საშუალო მაჩვენებლის 50%-ზე ნაკლებია, სამოვრისა და სათიბის ერთ ჰექტერზე პირუტყვის სიმჭიდროვე დიდია, მოსახლეობის სიმჭიდროვე ქვეყანაში არსებულზე 50%-ით ნაკლებია, მოსახლეობის გადინება 0,10%-ზე მეტია წლიურად, რაიონის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში, აგრარულ სექტორში დასაქმებულთა წილი 25%-ზე მეტია, აქედან გამომდინარე, ეს რეგიონი ითვლება არახელსაყრელ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში მყოფ რეგიონად. არახელსაყრელ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში ფუნქციონირებადი მეურნეობებისათვის დახმარების სპეციალიზებული მიზნობრივი პროგრამები (რაც დიდი ხანია ფუნქციონირებს განვითარებად ქვეყნებში) ძირითადად შემდეგი სახის ღონისძიებებს გულისხმობს:

1. არახელსაყრელ პირობებში მეურნეობის გაძლიერებისათვის სახელმწიფო ფულადი დახმარება.
2. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოდერნიზებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველყოფი დოტაცია.
3. საკვებწარმოების განვითარების სპეციალური პროექტების მხარდაჭერა.

სახელმწიფოს მიერ აღნიშნულ ჭრილში განხორციელებულ მხარდაჭერას ხშირად უწოდებენ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობის ზრდისკენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ციმინტია კ. აგრარული სექტორის ეკონომიკა. თბ. 2005 წ.

2. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბ. 2002 წ.

3. ჭითანავა ნ. საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები. თბ. 1993 წ.

4. საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრძელვადიანი პროგნოზებისა და გეგმებისათვის წინადადებათა დამუშავება, სამცხე-ჯავახეთის რეგიონი. თბ. 1992 წ.

Amalia Shakulashvili, An Associate Professor

The Faculty of Business Administration,

LEPL Samtskhe-Javakheti State University

E-mail: amaliashayulashvili@sjuni.edu.ge

The Support Mechanism for the Regions and Farms Being in the Infavorable Natural and Economic Conditions

An Abstract

The paper describes the unfavorable natural and economic conditions in Samtskhe-Javakheti region. The region belongs to unfavorable region for agricultural production, as well as to the highland area with low productive lands; The natural and geographical peculiarities of Samtskhe-Javakheti region, including Akhaltsikhe, Akhalkalaki, Adigeni, Ninotsminda, Borjomi and Aspindza municipalities and their impact on the economic indicators of the region. The following measures are listed as support mechanisms, like financial support from the state; modernization of the agricultural produce and subsidy for increasing efficiency of the investments; support of the special programs for development of the food production.

Key Words: *Natural and economic conditions; production potential; sustainable development, safe development, depressive region.*